ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 10 დეკემბრის სხდომის

ოქმი №11

სხდომას ესწრებოდა: 31 წევრიდან – 18.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი
2. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო, 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის პროექტი

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, ნ. დურგლიშვილმა, ტ. ირემაძემ, გ. გოგსაძემ, მ. გერსამიამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარი და ეთხოვოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დასამტკიცებლად თსუ–ს აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა (თან ერთვის).

მოისმინეს: 2. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში სხდომის წევრებს გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. დურგლიშვილმა, თ. დოლბაიამ, და სხვ.; ზ. დავითაშვილმა და მ. გერსამიამ ითხოვეს ვ. მაისაიას მოწვევასთან დაკავშირებით მათი უარყოფითი აზრის დაფიქსირება. ასევე, მ. გერსამიამ სხდომის წევრებს ამცნო, რომ ის უარს ამბობს იყოს ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ითხოვა პროგრამის ხელმძღვანელთა და კოორდინატორის დამტკიცების პროცედურის შეჩერება მის საჩივრებზე პასუხის მიღებამდე, რასაც დაეთანხმნენ მ. მაცაბერიძე, თ. მახარაძე და დ. ოსეფაშვილი.

ასევე, მ. გერსამიამ თქვა, რომ სხდომაზე კვორუმი აღარ არის და საკითხები ვეღარ დამტკიცდება, რაზეც მას მიუგეს, რომ ფ. ასანიშვილი და გ. გოგსაძე გავიდნენ ლექციაზე მაგისტრანტებთან, ხოლო ზ. დავითაშვილმა ითხოვა მნიშვნელოვან

შეხვედრაზე წასვლის ნებართვა. საბჭოს სამივე წევრმა აღნიშნა რომ საკითხს დაეთანხმება.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში და ეთხოვოს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საკითხის შესწავლის შემდგომ თსუ-ს აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გატანა.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

1. „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" პროგრამის ადმინისტრირება განხორციელდეს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ბაზაზე.

2. „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების" სამაგისტრო პროგრამაში სტატუსი შეიცვალეს შემდეგმა კურსებმა:

   - „პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა" ავტორი ფიქრია ასანიშვილი (5 კრედიტი), გახდა სავალდებულო /დანართი # 10/
   - „განვითარებული და და განვითარებადი ქვეყნების საჯარო პოლიტიკა" (5 კრედიტი), გახდა არჩევითი. ლექტორი ნოდარ ტანგიაშვილი, /დანართი #11/.

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

1. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ პროფესორები - გუგული მაღრაძე და რევაზ ჯორბენაძე.

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

1. დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამის „მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები" (ხელმძღვანელი მ. გერსამია) მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შემდეგნაირად - „მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი მედიის კვლევებში".

2. „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებად არჩეულ იქნენ ყველა სრული და და ასოცირებული პროფესორი, თუმცა მ. ტორაძემ, დ. ოსეფაშვილმა და მ. გერსამიამ უარი განაცხადეს პროგრამის ხელმძღვანელობაზე. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ ასოცირებული პროფესორები – თამაზ ჯოლოგუა, ნანა ტალახაძე, მარი წერეთელი, ნათია კუპრაშვილი, რუსუდან ვაშაკიძე, მანანა შამილიშვილი; ხოლო პროგრამის კოორდინატორად - ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი.

სადოქტორო პროგრამა

1. დამტკიცდა ახალი სადოქტორო პროგრამა - „დემოგრაფია“, ხელმძღვანელები პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე და ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე /დანართი #2/.

ასევე, პროგრამებს დაემატა ახალი საგნები:

საბაკალავრო პროგრამის საფაკულტეტო არჩევითი კურსი

1. ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებს საფაკულტეტო არჩევითი კურსის სახით დაემატა 5 კრედიტიანი საგანი - „ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია“, ლექტორები: პროფესორი ზურაბ დავითაშვილი , კონსტანტინე შუბითიძე /დანართი #1/.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სამაგისტრო პროგამას დაემატა :

1. არჩევითი კურსის სახით - „საქართველოს რეგიონული ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები“, ლექტორი: რუსუდან თევზაძე, (5 კრედიტი) /დანართი # 3 /;
2. არჩევითი კურსის სახით - „ახლო აღმისავლეთის პოლიტიკური პრობლემები“, ლექტორი: რევაზ გაჩეჩილაძე, (5 კრედითი) /დანართი # 4 /;

საბაკალავრო პროგრამა:

1. ცვლილებები შევიდა არჩევითი კურსის სილაბუსში, საგანი - „გეოეკონომიკის საფუძვლები“, (5 კრედიტი) /დანართი #5 /.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

1. „ევრაზიისა და კავკასიის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამას დაემატა:

   სავალდებულო საგანი:

   - „განვითარების ეკონომიკა“, ლექტორი ნინო პაპაჩაშვილი, (5 კრედიტი), /დანართი # 6/;

   არჩევითი საგნები:

   - „ცივი ომი“ - ავტორი ტიმოტი ბლაუველტი, (5 კრედიტი), /დანართი # 7/
   - „პოსტ-საბჭოთა ქვეყნების იდენტობა და საგარეო პოლიტიკა“ ლექტორი ფიქრია ასანიშვილი, (5 კრედიტი), /დანართი # 8/
   - „ევროპეიზაციის ფორმები და შედეგები კავკასიაში: შესავალი ცნებაში და მისი გამოყენება“ - ოლივერ რაისნერი, (5 კრედითი) /დანართი # 9/

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

„კონფლიქტების ანალიზის და მართვის“ სამაგისტრო პროგრამა:

1. პროგრამას დაემატა შემდეგი საგნები:
   - „სამართლის საფუძვლები“ ლექტორი დიმიტრი გეგენავა. (5კრედითი) /დანართი # 12/
   - „საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა“ ლექტორი ვახტანგ მაისაია. (5 კრედიტი) /დანართი # 13/
   - „საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები“ ლექტორი ვახტანგ მაისაია. (5 კრედიტი) /დანართი # 14/

აზრთა სხვადასხვაობის გამო დღის წესრიგის ეს საკითხი ხელახლა გავა დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს შემდგომ სხდომაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია,
ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: ნ. დურგლიშვილი, ნ. დურგლიშვილი
ასოცირებული პროფესორი

10 ივლისი, 2015 წ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. სერგი კაპანაძე
9. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტი

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი

14. მარიამ გერსამია
15. დალი ოსეფაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია
22. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

23. რევაზ ჯორბენაძე
24. ნოდარ ბელქანია

სტუდენტური თვითმმართველობა

25. შალვა საბაური
26. გიორგი კაკაურიძე
27. თორნიკე ცინაძე
28. მაგდა გიბიშვილი
29. მაჭავარიანი დავით
30. გვანცა გავაშელი
31. ტარიელ ირემაძე

დანართი #1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ნიმუში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი	
ვებგვერდი	
ელ.ფოსტა	
საკონტაქტო პირი (გვარი,სახელი,ტელეფონი,ელ.ფოსტა)	
სპეციალური პირობები აბიტურიენტებისთვის	
ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ	

აკადემიური პროგრამის დასახელება	აქვს თუ არა პროგრამა აკრედიტაცია	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდ.	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია.	სამოქალაქო განათლება	შემოქმედებითი ტური	
							1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი																			
საზოგადოებრივი გეოგრაფია; სოციოლოგია; სოციალური სამუშაო; პოლიტიკის მეცნიერება	დიახ	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგად	ქართული	240	2250	**210**	3	3	3	3	3	3					3		1-2-3-4/5/6/11
										40	80	80					10		
							3	3	3	3	3	3							
საერთაშორისო ურთიერთობები	დიახ	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	ქართული	240	2250	60				10	25	25							3-2-1-4/5/6
							3	3	3	3	3	3							
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	დიახ	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	ქართული	240	2250	**60**					30	30							1-2-3-5/6
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	დიახ	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	ქართული-რუსული	240	2250	20					10	10							1-2-3-5/6

სულ 350 ადგილი

ანკეტის შევსების თარიღი: 10 დეკემბერი, 2015 რექტორი ბ.ა.

შენიშვნა:

დანართი #4

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ აკადემიურ და პროფესიულ პროგრამაზე მინიმალური კომპეტენციის გაზრდის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა

დებულების თანახმად მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრა 20%-ით უცხო ენებისათვის და 25%-ით სხვა დანარჩენი საგნებისათვის (იმისათვის , რომ აბიტურიენტმა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მან სწორედ უნდა უპასუხოს დავალებათა საერთო რაოდენობის მითითებულ პროცენტს დამატებული ერთი). თქვენ შეგიძლიათ სურვილისამებრ გაზარდოთ მინიმალური ზღვარი ნებისმიერი საგნისათვის. ასეთ შემთხვევაში თქვენ ქვემოთჩამოთვლილ საგნებს უნდა მიუწეროთზღვარის ახალი მნიშვნერლობა პროგრამების მიხედვით.

პროგრამის დასახელება	ქართ. ენა და ლიტ.	ზოგადი უნარები	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია.	სამოქალაქო განათლება
	40+1	40%+1	50%+1	30%+1	40%+1	40%+1					40%+1
საზოგადოებრივი გეოგრაფია											
სოციოლოგია											
სოციალური სამუშაო											
პოლიტიკის მეცნიერება											
საერთაშორისო ურთიერთობები											
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია											

ანკეტის შევსების თარიღი, 10 დეკემბერი, 2015 რექტორი

ბ.ა.